ხელშეკრულება № 165

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი **05 ივლისი 2016 წელი**

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში -„შემსყიდველი“), გამგებლის ტარიელ ებრალიძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს "SESEKO" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის მინდია ალელიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ **2016 წლის ივლისის** თვის ლიმიტით **გათვალისწინებული საწვავის** შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად(გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.2 შესყიდვის ობიექტია: **3050 ლიტრი ევრორეგულარი**(ოქტანობა არანაკლებ 92).

2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება ტალონური სისტემით, მიმმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით.

2.3. CPV09100000

2.4 ნებართვა N2410

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 4239.50(ოთხი ათას ოცდაცხრამეტი და ორმოცდაათი მეასედი) ლარს.

2.2. საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

საქონლის ღირებულება : ევრო რეგულარი(ოქტანობა არანაკლებ 92) -1.39 ლარი

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. *<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>*

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონების გადაცემაზე შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);

ბ) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ტალონის წარდგენისთანავე უზურნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (ტალონებით საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება).

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

დ) უზურნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.2. *<u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>*

SESEKO 445424719 GEORGIA LTD

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.
ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.
გ) მომწოდებელი გვთავაზობს რომელი კომპანიაც იქნება გამარჯვებული კონსოლიდირებულ ტენდერში , აღნიშნულ ფასზე 5 თეთრით ფასდაკლებას. (ერთ ლიტრ საწვავზე).

3.3. *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);
ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ ყოველი თვის ბოლოს მოახდინოს ანგარიშსწორება.

5. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

5.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. *წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მახრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

8.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

8.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით .

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

11.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შუახევის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს ,,SESEKO“
დაბა შუახევი, თამარ მეფის 30	მისამართ: ქ. ბათუმი აღმაშენებლის და
სახელმწიფო ხაზინა	ბაგრატიონის ქუჩების კვეთა
ბანკის კოდი:TRESGE22	საბანკო რეკვიზიტი: საქართველოს ბანკი
ს/კ 247865145	ანგარიშის N GE21BG0000000353172000
	ბანკის კოდი N BAGAGE22
გამგებელი ტარიელ ებრალიძე	საიდ. კოდი N 445424719
	დირექტორი მინდია ალელიშვილი

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
2	ევრო რეგულარი(ოქტანობა არანაკლებ 92)	ბენზინი		3050	1.39	4239.5	შპს „SESEKOS"-ს ავტოგასამართი სადგურები	
საერთო ჯამი						4239.5		

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შუახევის მუნიციპალიტეტი

საიდ. კოდი №247865145

გამგებელი

ტარიელ ებრალიძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს ,,SESEKO"

საიდ. კოდი N 445424719

დირექტორი

მ.ალფლიშვილი